საქართველო

ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის

შიდა აუდიტის და მონიტორინგის სამსახური

ხულოს მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ხულოს კულტურის ცენტრის“

შიდა აუდიტორული ანგარიში

(01.01.2021 წ. - 31.12.2021 წ.)

ხულო

2022 წ.

აუდიტის ობიექტი - ა(ა)იპ „ხულოს კულტურის ცენტრი“

აუდიტის ობიექტის მისამართი - დ.ხულო, ჭავჭავაძის ქუჩა №1

თემა - შესაბამისობის აუდიტი

შესაბამისობის აუდიტის საფუძველი - ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 12 იანვრის № **3/10168988** ბრძანებით დამტკიცებული ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის და მონიტორინგის სამსახურის წლიური სამუშაო გეგმა.

აუდიტის განმხორციელებელი - ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის და მონიტორინგის სამსახურის უფროსი ზვიად თავართქილაძე, სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სოფიკო ქონიაძე, სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი გენად შევაძე.

აუდიტის პერიოდი - 01.01.2021 – 31.12.2021 წ

ჩვენ ჩავატარეთ ა(ა)იპ ხულოს კულტურის ცენტრში შესაბამისობის აუდიტი, რომელიც მოიცავს 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრამდე განვლილ პერიოდს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ა(ა)იპ ხულოს კულტურის სახლის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია გაწეული საქმიანობის კანონიერებასა და მიზნობრიობაზე, ნაერთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის წარდგენაზე " საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების "ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ", საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის "ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ" №364 ბრძანების შესაბამისად.
აღნიშნული პასუხისმგებლობა მოცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას შენარჩუნებას; რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ უზუსტობებს.

აუდიტორების პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ამ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვას და ჩატარებას, მივიღოთ გონივრული რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს. მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის დასკვნისათვის საკმარის საფუძველს წარმოადგენს.

საქმიანობის მიმოხილვა:

ძირითადი განმარტებანი

,,ხულოს კულტურის ცენტრის" სადამფუძნებლო დოკუმენტაციის კანონმდებლობასთან შესაბამისობის ანალიზი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - ,,ხულოს კულტურის ცენტრი" დაფუძნებულია ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 30 მარტის №26 განკარგულებით და იგი არის წევრთა მდგომარეობისაგან დამოუკიდებელი კავშირი. ამავე განკარგულებით დამტკიცებულია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - ,,ხულოს კულტურის ცენტრის" (შემდგომში - ,,კულტურის ცენტრი") წესდება.

,,საზოგადოებას" აქვს საკუთარი ბალანსი, ანგარიში კომერციულ ბანკში. ასევე აქვს ბეჭედი, შტამპი და სტატუსის განმსაზღვრელი სხვა შესაბამისი რეკვიზიტები.

,,საზოგადოება" ახორციელებს თავის საქმიანობას საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და წესდების საფუძველზე.

,,კულტურის ცენტრი" არის წევრთა მდგომარეობისაგან დამოუკიდებელი კავშირი და მისი მიზანი არ არის სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება. მხოლოდ კანონით დადგენილი წესით უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, საიდანაც მიღებული მოგება უნდა მოხმარდეს მხოლოდ მისი მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.

,,საზოგადოება" შექმნილია განუსაზღვრელი ვადით. ,,საზოგადოების" იურიდიული მისამართია: ხულოს მუნიციპალიტეტი, დაბა ხულო ჭავჭავაძის ქ.№1.

წესდება, ზოგადად, სრულად მოიცავს ,,ხულოს კულტურის ცენტრის" საქმიანობასა და მიზნებს, განსაზღვრულია ყველა ის მონაცემი, რაც აუცილებელია მისი სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის, განსაზღვრულია ასევე მისი ვალდებულებები.

ორგანიზაციის **შინაგანაწესში** არ არის სწორედ განსაზღვრული მიზანი, პრინციპები, სამუშაო დრო დასაქმებულთა ძირითადი ვალდებულებები, დაწესებულების შინაგანაწესი სრულად არ აკმაყოფილებს არსებულ ნორმებს.

რეკომენდაცია:

ა(ა)იპი ხულოს მუნიციპალური სერვისებმა განახლოს შინაგანაწესი არსებული და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ა(ა)იპ-ის მიერ დადგენილ შრომის შინაგანაწესთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება საქართველოს შრომის კოდექსით.

წინა წლების ხარვეზი რომელიც არ არის გამოსწორებული.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ხარჯვის მდგომარეობა და კანონიერება

ა(ა)იპი ხულოს კულტურის ცენტრის 2021 წლის დამტკიცებული საბიუჯეტო ასიგნებები განისაზღვრა 695 200 ლარით (ა(ა)იპ „ხულოს კულტურის ცენტრის" 2021 წლის საანგარიშო პერიოდის ბალანსი. ამავე პერიოდში საკასო შესრულება არის 695 042 ლარი.

მუხლობრივ ჭრილში შესრულება შემდეგნაირია:

2021 წელს შრომის ანაზღაურება გეგმით გათვალისწინებული იყო 393 465 ლარის ასიგნება, გაწეულია საკასო და ფაქტობრივი ხარჯი 393 465 ლარი.

საქონელი და მომსახურება მუხლით გეგმით გათვალისწინებული იყო 301 665 ლარის ასიგნება, გაწეულია საკასო ხარჯი 301 507 ლარი. სხვაობამ შეადგინა - 158 ლარი.

მივლინების ხარჯების მუხლით - გეგმით გათვალისწინებული იყო 665 ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 660 ლარი.

ოფისის ხარჯი დაზუსტებული ბიუჯეტით შეადგენდა 38 023 ლარს, ხოლო საკასო ხარჯი შეადგენს 38 014 ლარს.

ტრანსპორტის მოვლა-შენახვის ხარჯი დაგეგმილი იყო 3 270 ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 3 161 ლარი.

საშტატო ხარჯთაღრიცხვა

ხულოს ,,კულტურის ცენტრის" 2021 წლის საშტატო განრიგი გეგმით გათვალისწინებული იყო 96 საშტატო ერთეული ხელშეკრულებით აყვანილია 73 თანამშრომელი. ბიუჯეტით გათვალისწინებული შრომის ანაზღაურება შეადგენს 393 465 ლარს.

ხულოს ,,კულტურის ცენტრში", საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ პოზიციებზე დასაქმების მხრივ გამოიკვეთა გარკვეული ხარვეზები, კერძოდ:

კულტურის ცენტრის 18 თანამშრომელი დასაქმებულია სხვადასხვა სამსახურებში, როგორიცაა მაგალითად: ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძვნებულ სხვადასხვა ა(ა)იპ-ში, ასევე არიან თანამშრომლებიც რომლებიც ახორციელებენ კერძო და კომერციულ საქმიანობას სხვადასხვა კომპანიაში, სამუშაოდან დიდი მანძილით მოშორებით. (იხ.დან.№1)

დანართი №2

სახელი , გვარი	ძირითად სამუშაო ადგილზე დასაქმება				შეთავსებით დასაქმება
სახელი, გვარი	დასაქმების ადგილი და დაკავებული თანამდებობა	დასაქმების პერიოდი (დანიშვნა-განთავსიუფლება)	სახელფასო განაკვეთი	წლის განმავლობაში გაცემული ხელფასის ოდენება	დასაქმების ადგილი და დაკავებული თანამდებობა

ბადრი ართმელაძე	გალერეა-მთავარი სპეციალისტი ხელმძღვანელი.	კულტურა 2020 შტატი	380	4560	ხელოვნება 2020- შტატი-მასწავლებელი
	გალერეა-მთავარი სპეციალისტი ხელმძღვანელი.	კულტურა 2021შტატი	380	4560	ხელოვნება 2021- შტატი-მასწავლებელი
ბადრი ცეცხლაძე	ტექნიკური მუშაკი ფოლკლორის საარქივო მასალების ჩაწერა-დამუშავებისა და ღონისძიებების ტექ. უზრუნველყოფის დარგში	კულტურა 2020 შტატი	280	3360	წყალკანალი
ბეგლარ დეკანაძე	კულტურა შტატგარეშე 2020		450	5400	ხელოვნება 2020- შტატი-მასწავლებელი
ბეგლარ დეკანაძე	კულტურა შტატგარეშე2021		450	5400	ხელოვნება 2021- შტატი-მასწავლებელი
იზოლდა სურმანიძე	კულტურა 2020-2021 შტატი-სხალთის მუზეუმი-სპეციალისტი	2020 შტატი-	340.00	4080	ხულოს საკრებულოს ფრაქციის თავჯდომრის მოადგილე
სულიკო საგინაძე	კულტურა 2020 შტატი	2020 წელი	380	4560	დიოკნისის საჯარო სკოლის მასწავლებელი
	კულტურა 2021 - შტატი	2021 წელი	380	4560	დიოკნისის საჯარო სკოლის მასწავლებელი
სოსლან ხალვაში	კულტურა 2020 შტატი	კულტურა 2020 შტატი	380	4560	ხიხაძირის საჯარო სკოლის მასწავლებელი
	კულტურა 2021 - შტატი	კულტურა 2021 შტატი	380	4560	

გურამ ბოლქვაძე	კულტურა 2020წ. ქორეოგრაფი	2020 წელი	900	10800	შუახევის კულტურის ცენტრი-ქორეოგრაფი
	კულტურა 20201 წ. ქორეოგრაფი	2021 წელი	900	10800	
მერაბ მალაყმაძე	კულტურა 2020 შტატი	2020 წელი	380	4560	კომპანია SE-SE-KO ოპერატორი
	კულტურა 2021 - შტატი	2021 წელი	380	4560	კომპანია SE-SE-KO ოპერატორი
ზურაბ აბულაძე	კულტურა 2020 შტატი	2020 შტატი	320.00	3840	ხელოვნება 20 შტატი
	კულტურა 21 - შტატი	კულტურა 2021 შტატი	320.00	3840	ხელოვნება 21 შტატი
ლევან შავაძე	კულტურა 2020 შტატი	2020 წელი	320.00	3840	ქ.ბათუმი-სხვადასხვა კომერციულ ფირმებში
	კულტურა 21 - შტატი	2021 წელი	320.00	3840	ქ.ბათუმი-სხვადასხვა კომერციულ ფირმებში
ემზარ აბაშიძე	კულტურა 2020 შტატი	2020 წელი	320	3840	ქ.ბათუმი-სხვადასხვა კომერციულ ფირმებში
	კულტურა 21 - შტატი	2021 წელი	320	3840	
ნანა შაინიძე	2020 წ. საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი	2020 წელი	300	3600	შუახევის და ქედის კულტურის ცენტრი-სპეციალისტი
	2021 წ. საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი	2021 წელი	300	3600	შუახევის და ქედის კულტურის ცენტრი-სპეციალისტი

ნაზიბროლა მიქელაძე	კულტურა 2020 შტატი	2020 წელი	320.00	3840	სხალთის საჯარო სკოლა-მასწავლებელი
	კულტურა 21 - შტატი	2021 წელი	320.00	3840	სხალთის საჯარო სკოლა-მასწავლებელი
ასლან ძირკავაძე	კულტურა 2020 შტატი	2020 წელი	320.00	3840	დიოკნისის საჯარო სკოლის მასწავლებელი
	კულტურა 21 - შტატი	2021 წელი	320.00	3840	დიოკნისის საჯარო სკოლის მასწავლებელი
მანანა მელაძე	ანსამბლ ციცინათელას ხელმძღვანელი	2021	400	4800	ხულოს ხელოვნების სკოლა - მოადგილე
სულხან ხალვაში	კულტურა 2020 შტატი	2020 წელი	320.00	3840	ხიხაძირის საჯარო სკოლის მასწავლებელი
	კულტურა 21 - შტატი	2021 წელი	320.00	3840	

კულტურის ცენტრის შინაგანაწესის მიხედვით ორგანიზაციაში დასაქმებულთა სამუშაო საათები განსაზღვრულია დილის 10 საათიდან 18 საათამდე, აღნიშნულიდან გამომდინარე დაწესებულებაში დასაქმებული პირები შინაგანაწესის დარღვევით ახორციელებენ სამუშაოს, რაზედაც შინაგანაწესის მუხლი 7-ის მეოთხე პუნქტით მოსამსახურეს ეკისრება დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომა, რაც ორგანიზაციიხ მიერ ჯერ არ განხორციელებულა.

რეკომენდაცია

ა(ა)იპ ხულოს ,,კულტურის ცენტრმა" თავისი მუშაობა განახორციელოს შინაგანაწესის და წესდების სრული დაცვით.

მატერიალურ ფასეულობათა მიღების, აღრიცხვის, დაცვის და გამოყენება

2021 წლის IV კვარტლის მდგომარეობით ხულოს კულტურის სახლის კაპიტალი შეადგენს 500 295 ლარს, მატერიალური მარაგები 17 724 ლარის,შენობა-ნაგებობები 292 853 ლარის, გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები 241 961 ლარის, ფასეულობები 14 532 ლარის და არაწარმოებული აქტივები 5 181 ლარის.

კლუბები , ბიბლიოთეკები

ჩვენს მიერ გასული წლის მსგავსად აუდიტის პერიოდში განხორციელდა სოფლის კლუბებსა და ბიბლიოთეკებში მონიტორინგი სამუშაოზე გამოცხადებაზე, უნდა აღინიშნოს, რომ მონიტორინგის განხორციელების პერიოდში ზოგიერთ სოფლის კლუბებსა და არსებულ ბიბლიოთეკებში თანამშრომლები არ იმყოფებოდნენ. შინაგანაწესის მიხედვით დაწესებულების თანამშრომლები 10 საათიდან 18 საათამდე უნდა იმყოფებოდნენ სამუშაო ადგილზე.

რეკომენდაცია:

ა(ა)იპ ხულოს კულტურის ცენტრმა დააწესოს კონტროლი დაწესებულების თანამშრომელთა დროულად სამუშაოზე გამოცხადების შესახებ, დაცული იქნეს დაწესებულების მიერ მიღებული შინაგანაწესის წესები და პირობები.

დაწესებულების ქონების-აქტივების დაცულობის

კულტურის ცენტრსა და ქორეოგრაფ გურამ ბოლქვაძეს შორის გაფორმებული 25.12.2019 წლის N1 ხელშეკრულების თანახმად, როგორც „შტატგარეშე მოსამსახურე", მისი მოვალეობაა, მოამზადოს კულტურის ცენტრში **მოქმედი** ქორეოგრაფიული ანსამბლები-ჯგუფები. კვირაში 5 დღე დილის 10 საათიდან 17 საათამდე.

ა(ა)იპ კულტური ცენტრის შინაგაწესის მიხედვით ჯგუფი არგინეთი, რომლის ხელმძღვანელი ქორეოგრაფი გურამ ბოლქვაძე, რეპეტიციების და მუშაობის პერიოდი დილის 10 საათიდან 5 საათამდე, რომელიც მიმდინარეობს ა(ა)იპ კულტური ცენტრის ადმინისტრაციული შენობაში არსებულ დარბაზში. ჯგუფი არგინეთის ქორეოგრაფები და მუსიკალური გამფორმებლები ჯგუფისათვის განკუთვნილ სარეპეტიციო დროს იყენებენ სხვა ჯგუფებისათვის, ჯგუფები რომლებიც შექმნილია ხულოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისაგან და აქვთ სურვილი დაეუფლონ საცეკვაო ხელოვნებას, რისთვისაც ბავშვების მშობლები იხდიან თანხა 30 ლარის ოდენობით.

დამატებითი ჯგუფების რეპეტიციები ხორციელდება ა(ა)იპ კულტური ცენტრის დარბაზში, სადაც რეპეტიციების დროს იყენებენ ა(ა)იპ კულტური ცენტრის ბალანსზე რიცხულ მუსიკალურ ინსტრუმენტებს, რომელშიც საკმაოდ დიდი თანხაა გადახდილი (გარმონი 5000 ლარი, დოლი 1000 ლარი), ინსტრუმენტები სარგებლობის შემდგომ განიცდის შესაბამის ცვეთას. ა(ა)იპ კულტური ცენტრის ქორეოგრაფიული ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ უკვე არის მოთხოვნა ინსტრუმენტების რეაბილიტაციისათვის თანხის გამოყოფაზე. დამატებითი ჯგუფების რეპეტიციების დროს ასევე არა მიზმობრივად იხარჯება ელექტრო ენერგია, რომლის თანხასაც იხდის ა(ა)იპ კულტური ცენტრი.

აღნიშნული საქმიანობა ა(ა)იპ კულტური ცენტრის ქონების გამოყენებით დაუშვებელია, ა(ა)იპ კულტური ცენტრის ქონების და აქტივების გამოყენება უნდა

ხორციელდებოდეს, მხოლოდ ა(ა)იპ კულტური ცენტრის და მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გათვალისწინებული პროგრამების და ღონისძიებებისათვის და არა კერძო სექტორისათვის, კომერციული საქმიანობისათვის.

დასკვნა:

ა(ა)იპ კულტური ცენტრი არის არასამეწარმოო არაკომერციული იურიდიული პირი, შესაბამისად ა(ა)იპ კულტური ცენტრის მიერ განხორციელებული რაიმე კომერციული ღონისძიება დაუშვებელია. კანონის ფარგლებში მაქსიმალური ყურადღება გამახვილდეს დაწესებულების ინვენტარის და ქონების დაცულობაზე.

შიდა აუდიტის და მონიტორინგის

სამსახურის უფროსი: ზვიად თავართქილაძე

მთავარი სპეციალისტი: სოფიკო ქონიაძე

მთავარი სპეციალისტი: გენადი შავაძე